ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №12

2023 წლის 5 აპრილი

ქ. ვანი

,,ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის, მისი წარმოების, გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშგების წესის და სააღსრულებო ფურცლის ფორმების დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 სექტემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4, მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტების შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება ,,ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის, მისი წარმოების, გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშგების წესის და სააღსრულებო ფურცლის ფორმების დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 სექტემბრის №22 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 26.09.2019 წელი; სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.121.016377) და დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე გამოყენებულ იქნას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 43^1, 43^2, 46^6-ე, 49-ე, 51-ე, 51^3, 52-ე, 53^3, 55-ე, 55^3, 63-ე, 64-ე, 64^2, 65-ე, 66-ე, 67-ე, 68-ე, 71-ე, 73-76-ე, 127^1 მუხლის მეხუთე ნაწილთან, 145-ე, 172^8, 172^9, $196-^1$, 196^3, 196^6, 197-ე, 197^1, 198-ე მუხლებთან მიმართებით."

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ვანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — ალექსანდრე ლილუაშვილი